ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

Chancellery

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/2882-14 20 03 2014 წ.

დადგენილება №000478
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.03.2014წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2014 წლის 28 იანვრის №000478 მითითება და 2014 წლის 14 თებერვლის №000478 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №204559003, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №6-ში შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა ცემენტის შესანახი სილოსის და კონტეინერების განთავსება (მოწყობა) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 28 იანვარს შედგენილი იქნა მითითება №000478, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა მითითების შედგენის მომენტისათვის არსებული სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან ობიექტის დემონტაჟისათვის.

2013 წლის 14 თებერვალს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000478, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2013 წლის 07 მარტს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი ვალიკო ანთიძე (პირადი №35001044555, მინდობილობა №HB/62-2014 06.03.2014წ., გაცემული შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს დირექტორის დავით ჯუღაშვილის მიერ), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმართული აქვთ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის

სამსახურისათვის ნებართვის ასაღებად. მანვე განამარტა, რომ მითითებაში და შემოწმების აქტში საკადასტრო კოდი არის შეცდომით მითითებული, კერძოდ, №01.19.19.002.047-ის ნაცვლად მითითებულია №01.19.19.002.045. მხარის წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა რომ №01.19.19.002.047 საკადასტრო კოდი დღეისათვის შეცვლილია №01.19.19.002.052 საკადასტრო კოდით. მხარის წარმომადგენელმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №01.19.19.002.052 14.02.2014წ. და საკადასტრო გეგმა №01.19.19.002.052 14.02.2014წ. მისივე თქმით, ჯარიმის გადახდის შემდგომ აპირებენ ნებართვის აღებას. საქმეშია, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან №204559003 22.01.2014წ.; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №6-ში შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა ცემენტის შესანახი სილოსის და კონტეინერების განთავსება (მოწყობა) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №6-ში ცემენტის შესანახი სილოსის და კონტეინერების უნებართვოდ განთავსებისათვის (მოწყობისათვის);

2. შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევი"-ს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

ზ. ზაქაშვილი

ელექტრონული საგადახდო დავალება N 7521
"10" აპრილი 2014

რეფერენსი
2645913693.00

გადამხდელის დასახელება: შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია

ანგარიში (დებეტი): GE60BG0000000253549000GEL
253549000(ძველი ანგ.)

თანხა
8000-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა სიტყვებით
რვა ათასი ღარი 00 თეთრი

გადამხდელის დასახელება: შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 204559003

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 10.04.14

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: ჯარიმა თ/დადგენილებისა # 000478 (20.03.14წ.) სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
შექმნილია ინტერნეტ ბანკში
CREATED IN INTERNET BANK

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ.ბუღალტერი

ბ. ა.

ელექტრონული საგადახდო დავალება N 7521
"10" აპრილი 2014

რეფერენსი
2645913693.00

გადამხდელის დასახელება: შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია

ანგარიში (დებეტი): GE60BG0000000253549000GEL
253549000(ძველი ანგ.)

თანხა
8000-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა სიტყვებით
რვა ათასი ღარი 00 თეთრი

გადამხდელის დასახელება: შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 204559003

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 10.04.14

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: ჯარიმა თ/დადგენილებისა # 000478 (20.03.14წ.) სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
შექმნილია ინტერნეტ ბანკში
CREATED IN INTERNET BANK

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ.ბუღალტერი

ბ. ა.

მობილური ბეტონის საწარმოო კვანძი MEKA MB 100

ნომინალური წარმადობა - 100 კბმ/სთ

შემადგენელი საწარმოო დანადგარები:

1. ცემენტის სილოსები, მოცულობა 100 ტონა - 2 ცალი
2. ცემენტის მიმწოდებელი შნეკები - 2 ცალი
3. ინერტული მასალის მიმწოდებელი ტრანსპორტიორი.
4. ინერტული მასალის დოზატორ/ტრანსპორტიორი ლენტი.
5. ცემენტის დოზატორი სასწორი.
6. წყლის და პლასტიფიკატორის დოზატორი სასწორი.
7. ბეტონშემრევი (2 კბმ)

წარმოების ტექნიკური აღწერილობა და სპეციფიკა.

წარმოება არის სრულად კომპიუტერიზირებული, რის საშუალებითაც ოპერატორი მართავს და აკონტროლებს წარმოების პროცესს, შეარჩევს ბეტონის მარკებს მოთხოვნის შესაბამისად, და აწარმოებს შეკვეთილი რაოდენობის პროდუქციას.

წარმოების დაწყებამდე ხდება საწარმოო კვანძის ნედლეულით შევსება, კერძოდ ავტოცემენტმზიდის საშუალებით შემოტანილი ცემენტის ატუმბვა საცავ სილოსებში, ავტოდამტვირთველის საშუალებით ინერტული მასალის ბუნკერების ავსება ქვიშა/ღორღით, წყლის და პლასტიფიკატორის ვაზების შევსება საქაჩი ტუმბოებით.

წარმოების დაწყებისთანავე დოზატორებში აიწონება შესაბამის რაოდენობის ნედლეული, რის შემდეგაც მიეწოდება ბეტონშემრევს. 30 წამიანი შერევის ციკლის დასრულების შემდეგ მზა ბეტონი შემრევიდან ძაბრის საშუალებით ჩამოიცლება და ჩაიტვირთება ავტომიქსერში, რომელიც უზრუნველყოფს მზა ბეტონის ტრანსპორტირებას მშენებარე ობიექტამდე.

წარმოების დასრულების შემდეგ ხდება ბეტონშემრევის გამორეცხვა. გამონარეცხი წყალი გადამუშავდება გადამამუშავებელ დანადგარში ARCEN , რომელიც ახდენს წყლის და ქვიშის ავტომატურ სეპარაციას და დასაწყობებას მისი შემდგომი მოხმარებისათვის.

ქარხნის ტექნიკური მენეჯერი

დავით კოლელიშვილი